# სახალხო გაზეთი

№ 336 შაბათი, 25 ივნისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 336

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, შადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ რომ ყოველ თვის დამდეგიდან გაზეთის გზავნა ესპობათ ყველას ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი.

**ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა** ამით აცნობებს ნათესავთა და მეგობართ, საყვარელ ქმრის

**დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის**

**გარდაცვალებას.** პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, შაბათს, 25 ივნისს კი, საღამოს 8 საათზე. გამოსვენება კვირას 26 ივნისს, დილის სწორედ 9 საათზე. წირვა სიონის საკათედრო ტაძარში; დაკრძალვა დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში. (6—1356—5)

**მთავარ კანტორის მოსამსახურენი** მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, მეგობართ და დაუვიწყარ

**დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი დღეს, შაბათს 25 ივნისს საღამოს 8 საათზე, განსვენებულის ბინაზე—სერგეევის ქ. (6—1356—5)

20 ივნისს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უძვირფასესი

**დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი,**

რასაც გულითადის მწუხარებით იუწყებიან კნეინა ეკატერინე ზაქარიას ასული და თ-დი ნიკოლოზ ბიძინას ძე ერისთავები, თ-დი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ერისთავი მეუღლით, თ-დი გიორგი ნიკოლოზის ძე ერისთავი, თამარა ნიკოლოზის ასული ბრაილოვსკისა და ელისაბედ ნიკოლოზის ასული დიმერშნიკოვისა მეუღლით. პანაშვიდები ყოველ-დღე საღამოს 7 საათზე, განსვენებულის ბინაზე. დაკრძალვა კვირას, 26 ივნისს. (1—693—1)

ტფილისის სირაჯთა და მაგარ სასმელის მოვაჭრეთა ამქარი, ღრმა მწუხარებით აუწყებს ტფილისის ვაჭრებსა და საზოგადოებას, ჩვენის დიდებულ ვაჭარ მრეწველის, მოქალაქის და საზოგადო მოღვაწის

**დავით ზაქარის ძე სარაჯიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 25 თიბათვეს, დილის 11 საათზე, ავლაბრის წმინდა მარინეს ეკლესიაში. ვსთხოვთ ამქრებს პანაშვიდს დაესწრნენ. (1—691—1)

ყოფილი მუშები დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხნისა, ი. ნ. ტერენტიევის არყის ქარხანაში მომუშავენი (მიხაილოვის პროსპექტი, № 158) გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას და დაუვიწყარ

**დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის**

გარდაცვალებას. (1—690—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ დღეს, 25 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზე, ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩა, თავად-აზნაურობის სახლი), გარდახდილ იქნება პანაშვიდი გარდაცვალებულის ბანკის რწმუნებულის

**დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის**

სულის მოსახსენებლად. (1—692—1)

ალექსანდრე პეტრეს ძე, ალექსანდრე თეოდორეს ძე სარაჯიშვილნი და ადამ ივანეს ძე ფირალიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის

**დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილისას**

პანაშვიდები მუდამ დღე საღამოს 7 საათზე, შაბათს კი საღამოს 8 საათზე. გამოსვენება კვირას 26 ივნისს, დილის სწორედ 9 საათზე. წირვა სიონის საკათედრო ტაძარში; დაკრძალვა დიდუბის ეკლესიაში. (4—676—4)

20 ივნისს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უძვირფასესი

**დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი,**

რასაც გულითადის მწუხარებით იუწყებიან კნეინა მარიამ ზაქარიას ასული, ელისაბედ დავითის ასული და თ-დი შალვა რევაზის ძე ერისთავები. პანაშვიდი განსვენებულის ბინაზე დღეს, შაბათს, 25 ივნისს, საღამოს 8 საათზე. (2—685—1)

**ალექსანდრე როსტომის ძის საბახტარიშვილის**

გარდაცვალებასა გამო ვინც კი ჩვენი უზომო მწუხარება გაიზიარა და მის დაკრძალვაზე დაესწრო ანუ დეპეშისა თუ წერილის საშუალებით მოგვისამძიმრა და გვანუგეშა — ყველას ჩვენს უგულითადესს მადლობას ვუძღვნით.

ქვრივი გარდაცვალებულისა ლიზა ივანეს ასული საბახტარიშვილი, შვილები: გიორგი და მიხეილ საბახტარიშვილები. (1—1349—1)

**ექიმი ისიდორე ჭანტურია**

გადავიდა ახალ ბინაზე Служба Сборов-ის გვერდზე, ავჭალის სახალხო აუდიტორიას ახლოს, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალის) № 68. (თ.—1329—15)

**აბასთუმანში**

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერმარქაროვისა. (თ.—1333—10)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის გაზეთის ქ. რომელიმე N 21б.

**დ. ყვირილაში**

„სორაპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა

**„სახალხო გაზეთზე".** აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

მხოლოდ 1 ივლისამდე მიიღება ხელის-მოწერა.

**არჩ. ჯორჯაძის თხზულებათა მე-2-რე წიგნზე:**

**„ჩვენი საზოგადოებრივობა".**

შინაარსი: ავტორის სურათი. წინასიტყვაობა. 1) მეღვინეობიანნი და ღვთისმოსავ-დაათიანნი. 2) პუბლიცისტი—ილია ჭავჭავაძე. 3) ნ. ნიკოლაძე (ნაწყვეტი). 4) თავად-აზნაურულ ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-XIX საუკუნეში. 5) რევოლუციის შემდეგ.

ვინც ამ წიგნზე ხელს 1 ივლისამდე მოაწერს, მათთვის წიგნი ეღირება 40 კაპ. წიგნში იქნება არა ნაკლებ 260 გვერდისა.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში—„სახალხო გაზეთის" რედაქციაში და წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში გაზ. „კოლხიდის" რედაქციაში; ბათომში—ირაკლი ავალიშვილთან (ქალაქის საავადმყოფო); სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან; ხონში—წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; სურამში—ალ. ხორავასთან (საბაკალეო მაღაზია); გორში—სოლომ. კიკნაძესთან (სამეფო ქ., ზურაბიშვილის სახ.) და თელავში—წ. კ. ს. განყოფილების წიგნის მაღაზიაში. ვისაც სურს წიგნი ფოსტით მიიღოს, მან ხარჯად 10 კ. უნდა გადაიხადოს. (20—1326—14)

**საჭიროა** ქიათურის კერძო სასწავლებლისთვის **მასწავლებლები**

ერთი მათგანი უნდა იყოს სპეციალურად მცოდნე რუსული ენისა. საჭიროა აგრეთვე ხელ-საქმის მასწავლებელი, რომელმაც უნდა იცოდეს: ჭრა-კერვა, ქარგვა, ჩულქის მანქანის ხმარება და ნოხის ქსოვა. თხოვნები მიიღება სკოლის სახელზედ 15 მარიამობისთვემდის.

გამგე სასწავლებლისა მარიამ ჩხეიძე. (2—1365—1)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.**

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ბედიზანაშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**დავითიანი რ. ს.**—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

**მალხაზიშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და აგ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

**მზარეულოვი მ. ი.**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**მიქელაძე შ. ა.**—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

**ორემბოვსკი ნ. ს.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.

**სობოლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**სულაკოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელდევაო. სტაციონ. [illegible] (წ.—1089—196)

კვირას, 26 ივნისს,

ზუბალაშვილების სახალხო სახლში დანიშნულია

**ქართ. სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის წევრთა მორიგი საზოგადო კრება**

განსახილველი საგნები: 1. გამგეობის მოქმედების ანგარიში; 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3. მომავალ წლის შესავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა; 4. ახალი წევრების მიღება; 5. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

კრება დაიწყება დილის 9 საათზე. (2—1268—1)

**ვკისრულობთ**

თარგმნას რუსულიდან ქართულად, როგორც პიესებისას ისე სხვა სალიტერატურო ნაწარმოებისას, ქართულ ხელნაწერების შესწორებას და კორექტურას, ხელმისაწვდომ ფასებში.

ბაბილინა და ნარკანი.

(10—1345—7) იკითხეთ „სახალხო გაზეთის" რედაქციაში.

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის. (წ.—1147—77)

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**ი. მ. ახპიხოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**მოსხე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ.

**ნოვიცკი**—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

**კალმიკაროვი**—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

**უკლადნიკოვი**—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

**რიდელი**—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტრო-თერაპია, ყოველ დღე გარდა კვირაუქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**რუდენკო**—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

**ვეხელოვიშერსკი ნ. ნ.**—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

**ლიმონი**—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

**ყალამქაროვი**—ნერ., ელექტრო-თერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 6—7 საათამდე.**

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—62)

**სურამში**

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

ელექტრონისა და რენტგენის

**სამკურნალო**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—46)

**ქუთაისში**

**ექიმი მ. ი. ჩხენკელი**

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგიოსელიანის სახლი. (თ.—1321—18)

**ექიმი გ. მუსხელიშვილი**

სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარეთ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

**ბავშვის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

**ე. ს. გაზაკიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

**გ. ს. სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

**შ. ა. მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი** — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ბ. გ. სობოლევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606"-ით.** (შლ.—1090—93)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ი. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 9—83

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთი „რეჩის" 19 ნომერში ვკითხულობთ საინტერესო ცნობებს დასავლეთ გუბერნიებში ახალ ერობაში არჩევნების წარმოებაზე. ამ ცნობებიდან ვხედავთ, რა ენერგიულ მონაწილეობას იღებს მთავრობა ამ არჩევნებში და აქედან ადვილად შეგვიძლიან სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ერობის მომავალ შედგენილობაზე.

ღვინის მაზრიდან გაზეთს აცნობინებენ, რომ ნ. მ. მოროზოვი და ე. გრიგორიევი ადმინისტრაციის მოხერხებით აალდინეს და მონაწილეობა არ მიაღებინეს არჩევნებში. გრიგორიევი, როგორც ფელდშერი, ვითომ საჭიროებისათვის სხვა სოფელში გაიწვიეს და მოროზოვი კი პირდაპირ დააპატიმრეს. თითქმის ასეთსავე მდგომარეობაში ჩავარდნილა ნ. კულიაბკო-კორეცკი. იგი ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოსულ ცნობებს, რომ საარჩევნო სიები ძლიერ იაფად გვიჯდება, არავისაგან საჩივრები არ შემოდის და საერთოდ არჩევნები მშვენიერად მიმდინარეობენ.

„გომელში, მოგილიოვის გუბერნიაში, სამი კაცი უზიარებს ერთმანეთს ახალ ამბავს. —მართლა—ამბობს ვ.—

არც ერთი ჩვენთაგანი არ არის შეტანილი ამომრჩეველთა სიაში, თუმცა სამივეს ცენზი გვაქვს. მეორე, ნაფიცი მსაჯული კ. მე გამომეხუმრა: „როგორც ეტყობა 87 სტატია ჩვენთვის, ვექილებისათვის და რედაქტორებისათვის არ არსებობს". ჩვენ გავიგეთ, რომ სიების გადათვალიერება თურმე შეიძლება მაზრის სასამართლოს წევრთან, რომელსაც ეს სიები აბარია თურმე. ჩვენ გადავსწყვიტეთ ჩვენი უფლებები აღგვედგინა. არ ვიცი სხვამ რა ჰქნა და მე კი დიდი შრომა მომინდა ამის მისაღწევად. თავდაპირველად მე მოვაგონე ჩემი არსებობა გომელის საერობო გამგეობას, მაგრამ რადგანაც გამოცდილებით ვიცოდი, რომ ოფიციალურ სტატისტიკას ჩვეულებადა აქვს, როგორც არარასაგან რისამე შექმნა, აგრეთვე პირიქითაც, მე წარვადგინე ფორმალური ასლიც ნასყიდობის ქაღალდისა, რის მეოხებითაც მე ოთხი წლის განმავლობაში ვსარგებლობ უძრავი ქონებით.

აბა მიხვდით, რა მოიმოქმედა გამგეობამ? შეიძლება იფიქროთ, გამგეობამ იგრძნო უხერხულობა, რომ ხარჯში შემიყვანა? არა, მას არავითარი უხერხულობა არ უგრძვნია და გამომიცხადა კიდეცა, რომ ქალაქის წიგნების მიხედვით ეს ქონება ჩემს საკუთრებად ითვლება მხოლოდ ამ წლიდან. რას ვიზამდი, დავწერე საჩივარი საგუბერნიო მმართველობასთან. აღვნიშნე, რომ იურიდიულად და ფაქტიურადაც ოთხი წელიწადია ქონება ჩემია მოგილიოვის გუბერნიაში... და ოფიციალური დაწესებულების მხრით აქამდე დაბრკოლება არ შემხვედრია. როგორც იყო შემატყობინეს, რომ აღდგენილია ჩემი საარჩევნო უფლებები და... ეპილოგის მაგიერ მომთხოვეს სამი მარკის ფასი. გადავიხადე 2 მ. 25 კ., მაგრამ ვერ გავიგე რის გულისათვის! შეცდომა ხომ თვით გომელის გამგეობის ბრალი იყო და არა ჩემი?!

შინაგან სამინისტროს თავმჯდომარე ბ. გერბელი მახსოვს იკვეხდა, არჩევნებისათვის ხარჯები ძლიერ იაფად დაგვიჯდაო. მრწამს, მრწამს, პირიქით ყველა იმათ, ვინც არ იყო სიაში შეტანილი თუ 2 მ. 25 კ. გადაიხადეს, ხაზინა კიდეც მოგებაში დარჩება.

ახლა, როდესაც პ. ა. სტოლიპინმა ასეთი მადლობის წერილი გაუგზავნა ვოლინელს არქიელს თავის მოწოდებისათვის (იხ. გუშინდელი ნარკვევი), ჩვენ უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ კანონის სახელით ერთი ინსტანციიდან მეორეში ამდენი წანწალის გულისათვის, ასეთს მადლობას ჩვენც მივიღებთ.

მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ვაი თუ უფლებათა ასეთ დათრგუნვით გულმოკლულ ყველა ამომრჩევლებმა არ იკისროს თავის უფლებათა აღდგენა".

მოდით ეხლა და ნუ დაიჯერებთ, რომ მთავრობას ეროვნების ასეთის სიჩქარით შემოტანაში მცხოვრებთა საჭიროებანი არ აინტერესებდნენ.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი** გუშინ მანგლისს გაემგზავრა სანიტარულ რევიზიის პოსახდენად. გუბერნატორი აგრეთვე აბასთუმანსაც დაათვალიერებს.

**ტფილისის უნივერსიტეტი.** მაიკოპის ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიას დაუდგენია, წინადადება მისცეს საბჭოს, ყოველწლიურად 500 მან. გადასდოს ტფილისის უნივერსიტეტის სასარგებლოდ.

**ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი** დღეს 20 დღით ტფილისიდან დასასვენებლად მიემგზავრება ჩრდილოეთ კავკასიასა და პეტერბურგში.

**დარჩენილი გადასახადი.** ფინანსთა სამინისტრომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით ნება დართო დუშეთის მაზრის სოფელ მუხრანის დროებით ვალდებულ გლეხთა საზოგადოებას მათს მამულზე დარჩენილი გადასახადი 2,371 მ. 96 კაპ. ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ სამის წლის განმავლობაში.

**სახელმწიფო ბანკის განყოფილებათა გახსნა** განზრახულია ყარსსა, ქუთაისსა და განჯაში.

**განსვენებულ დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის** სახსოვრად „ჯეჯილის" რედაქციამ გადასწყვიტა გვირგვინის მაგივრად გაუგზავნოს ორ ულარიბეს სასწავლებელს თავისი ჟურნალის 1911 წლის ნომრები.

**საბებიო ინსტიტუტის ძველი შენობები** ერთიანად დაანგრიეს და ეხლა ახალ შენობის საძირკველსა ჰყრიან. შენობაზე ტუსაღები მუშაობენ. 1 სექტემბრამდე უნდა დაამთავრონ.

**პანაშვიდი დ. ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად.** გუშინ, ნაშუადღევის 2 საათზე, ქალაქის გამგეობის თაოსნობით, ქალაქის საბჭოს დარბაზში სიონის ტაძრის კრებულის მიერ გადახდილ იქმნა რუსულ-ქართულ ენაზე პანაშვიდი განსვენებული დ. ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად. სიტყვა წარმოსთქვა ა. ი. ხატისოვმა, რომელმაც განსვენებული დაახასიათა როგორც სამაგალითო ადამიანი და საზოგადო მოღვაწე. პანაშვიდს დაესწრნენ ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურენი, პრესის წარმომადგენელნი და განსვენებულის ნათესავნი და პატივის მცემელნი.

როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფილისის გუბერნატორად ნამყოფმა ლიუბიმოვ-ლობინსკიმ კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე საკითხი აღძრა, სახაზინო თეატრში შესასვლელად **მოწაფეთათვის შეღავათიანი (50 კაპეიკიანი) ბილეთების** რიცხვი შეემცირებინათ. ეხლა ნამესტნიკის კანცელარიამ ტფილისის გუბერნატორს ბ. ჩერნიავსკის აცნობა, რომ ნამესტნიკმა ეს საკითხი საბოლოოდ გადასაწყვეტად სახაზინო თეატრის დირექტორსა და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ბ. რუდოლფს გადასცა, ხოლო განმარტა, რომ უნივერსიტეტებსა და სპეციალურ სასწავლებლისათვის არაა საჭირო შეღავათიან ბილეთების ახალ წესის შემოღება.

**ქართული სახალხო წარმომადგენების მმართველი წრის** წევრთა მორიგი კრება მოხდება ხვალ, 26 ივნისს, ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში. კრებამ უნდა განიხილოს გამგეობის მოქმედების ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება, 1912 წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა და სხვა.

**ქართული დრამატიული საზოგადოების** კრების გაგრძელება, რომელიც დანიშნული იყო პარასკევისათვის, დ. ზ. სარაჯიშვილის ხსოვნის პატივსაცემლად, 29 ივნისისთვის გადაიდო.

**24 ივნისს**, განთიადისას, ვორონცოვის ძეგლთან მდებარე ნიკოლაევის სასტუმროს გარს შემოერტყა ჟანდარმთა და პოლიციელთა რაზმი. ჩხრეკის დროს მე-12 ნომრის ბუხარში აღმოაჩინეს ოთხი გაუტენავი ყუმბარა. ამის გამო დააპატიმრეს მახლობელ ნომერში მცხოვრები რამდენიმე კაცი.

## წვრილი ამბები

ტრამვაის ვაგონი № 23 22 ივნისს, საღამოს 9 საათზე, შტაბის მოედანზე, თამამშევის ქარვასლის პირდაპირ, ტფ. მოქალაქეს ვახილ ავეტას ძე კიპინოვს დაეჯახა. კიპინოვი მსუბუქად დაშავდა.

უეცრად გარდაიცვალა გორის ქუჩაზე გორის მაზრის სოფელ ტყვიავის მცხოვრები ივგორ ბადალას ძე ქურდიაშვილი.

23 ივნისს ტფილისში შეიპყრეს 62 უპასპორტო.

მესამე თეატრალურ შესახვევში მცხოვრებმა ფალიკ იანკელას ძე ზელენსკიმ, 42 წლ., ხელობით ნოქარმა, გააუპატიურა თავისი მოსამსახურე, 12 წლის ქალი ელისაბედ კულიგინისა. დამნაშავე შეიპყრეს. გამოძიება სწარმოებს.

## საზოგადოებანი და კრებები

**ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიური კრების გაგრძელება**, რომელიც 24 ივნისისთვის იყო დანიშნული, სხვა დროისთვის გადაიდო.

გუშინწინ, კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტის შენობაში, მოხდა თათბირი. განხილულ იქმნა საკითხი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საკითხი დაღესტანში შინამრეწველობის ნაწარმოებთა მუზეუმის აშენებისა. ამ საქმის გამოსარკვევად გუშინ სამოქო სოსტატო კომიტეტის მდივანი ე. ი. კოტუმსკი გაემგზავრა დაღესტნისაკენ.

## სასწავლებლებში

**ლევანდოვსკის ოთხკლასიანი კერძო პროგიმნაზია** ექვს-კლასიანად იქმნა გადაკეთებული. კურს დამთავრებულთ ისეთივე უფლებანი ექნებათ, როგორც მთავრობის პროგიმნაზიაში კურს დამთავრებულთ აქვთ.

შარშან შემოდგომაზე მომხდარი უწესობის გამო, როგორც ვიცით, ქართულ გიმნაზიის მეშვიდე კლასი ორის თვით დაიკეტა. კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსმა ბ. რუდოლფმა გამგე კომიტეტს ნება მისცა ისევ გაეხსნა ეს კლასი იმ პირობით, რომ გაცვენილ დროს მოწაფეები საზაფხულოდ დათხოვის შემდეგ შეავსებდნენ. ამიტომ მეშვიდე კლასი დღემდე მეცადინეობს და მხოლოდ ივლისის პირველ რიცხვებში დაითხოვენ საზაფხულოდ.

## ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება.

23 ივნისი

**კრებას თავმჯდომარეობდა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი.** მისი წინადადებით საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა **დ. ზ. სარაჯიშვილს** და დაადგინა გვირგვინის დასწრობის პანაშვიდს და დაკრძალვას.

შემდეგ კრება შეუდგა მორიგ საქმეთა განხილვას. პირველად გადასწყვიტეს საკითხი კარაკლისის მერძეობის კურსებზე ორი კაცის გაგზავნისა. საბჭომ ამოირჩია ორი კაცი— **მასწავლებელი ალექსანდრე კახელიძე** და თიანეთის მაზრის სოფ. არტანის მცხოვრები **ევგენი დოლაქიშვილი.** მათ დაევალა საქმის შესწავლა და მოკლე მოხსენების წარმოდგენა.

მეორე საკითხი შეეხებოდა **ხოფ. ბელევში** გამართულ სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის დათვალიერებას. კრებამ საჭიროდ სცნო ამ ფრიად საინტერესო ტიპის სასწავლებლის გაცნობა და გადასწყვიტა მისი დასათვალიერებლად გამგზავრება 10 მკათათვეს.

კრებამ განიხილა თხოვნა ამხანაგობა „ანკარასი". ეს ამხანაგობა დაუარსებიათ ხილის გასასაღებლად. ერთს დროს გაგზავნეს კიდეც ერთი ვაგონი ხილი პეტერბურგს. მაგრამ გაფიცვამ და არეულობამ უსწრო და გაგზავნილი ხილი უკვალოდ დაეკარგათ. ეხლა კი მოქმედების დასაწყობად თხოულობენ 500 მანეთის სესხს. კრებამ დაადგინა დაეხმაროს, როცა ამხანაგობა მოქმედებას დაიწყებს.

მერე კრებამ **მ. კარბელაშვილი** მოიწვია დროებით მდივნის თანამდებობაზე.

აღიძრა კითხვა თავად-აზნაურთა კრების დადგენილების განხორციელებაზე და საერთო სამოქმედო გეგმის შემუშავების თაობაზე. ეს საერთო გეგმა უნდა შეიმუშავონ საადგილმამულო კომისიამ და სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ. დამსწრეთ სურვილი გამოსთქვეს ამ საქმის დაჩქარებისა.

კრება დასრულდა **თავ. პ. მ. ლორთქიფანიძის** მოხსენებით გორის მეხილეთა განზრახულ ამხანაგობაზე. მეხილეთა უმეტეს წილს თავისი ხილი უკვე გაუყიდნია; ხილი ცოტაღაა. 19 თიბათვის კრებას გადაუწყვეტია ამხანად საწარმოვო ოპერაციებზე ხელი აიღოს, ჯერ-ჯერობით წინასწარ მუშაობას შეუდგეს; ხოლო მოქმედება დაიწყოს მომავალ წლის გაზაფხულიდან.

შემდეგი კრება 30 ივნისს მოხდება.

# სამგლოვიარო დეპეშები და წერილები

**დ. ზ. სარაჯიშვილის გარდაცვალების** გამო რედაქციამ მიიღო სამგლოვიარო დეპეშები: 1) **ქალაქ. როსტოვიდან** იქ მყოფ ქართველებისაგან. 2) **თელავიდან.** აგორ კირილის ძე დათუნაშვილისაგან და 3) **ეკატერინოდარიდან.** იქაურ ქართველთაგან. 4) **თელავიდან** წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილებისაგან. 5) **ქუთაისი.** ქართულ ყოველკვირეულ ჟურნალ „კოოპერაციის" რედაქტორ-გამომცემლისაგან.

ი. ნ. ტერენტიევის არყის ქარხნის მუშები (მიხაილოვის პროსპ. № 158.) გულწრფელად ვგლოვობთ პატიოსანი ადამიანის და „ადამიანური ხაზინის" (რომელთანაც ჩვენ გვიმუშავნია წინად) დ. ზ. სარაჯიშვილის გარდაცვალებას. ხსოვნა მისი დაუვიწყარი იქმნება ჩვენს გულში, რაიცა მან საფუძვლიანად დაიმსახურა: ს. მერაბიშვილი, გ. ჩუგუაშვილი, გ. ამაზოვი, ზ. მჭედლიშვილი, ა. გარსევანოვი, ზ. ჯანიაშვილი, ს. ბაინდუროვი, დ. ხუბეროვი, გ. ბაინდუროვი, ა. მინასოვი, ვ. ხუბაშვილი, ი. მაისურაძე.

# დავით ზაქარიას-ძის სარაჯიშვილის ხსოვნას.

კიდევ ერთი დედა-ბოძი გამოეცალა ქართველთა საერო კეთილდღეობის დამმკვიდრებელსა და განმამტკიცებელს შენობას; კიდევ ერთი, თვალ-სჩინო და წარჩინებული, ადამიანი მოაკლდა იმ მცირე გუნდს, რომელიც წრფელის გულით მოწადინებულია ქართველ ერის ჭეშმარიტს ბედნიერებასა და წარმატებას; კიდევ ერთი იშვიათი მზრუნველი მამა ობოლთა და დაბეჩავებულთა გამოეთხოვა ამ წუთისოფელს, მამა გულ-შემატკივარი მოზარდის თაობისა, მამა, რომელიც საერთო და საერო საკეთილდღეოდ ყოველის მისის წევრისათვის ჰზრუნავდა და თავისს უხვს ხელსა და ქალთას, წმიდის გულ-შემატკივრობის გრძნობით შემთხარსა და გაცისკროვნებულს, არ იშურებდა ქართველ ყრმათა აღსაზრდელად, გასანათლებლად, ქვეყნის კეთილ მუშაკთა გასამრავლებლად. მისი სიტყვებია,—„რას მიქვიან უშვილობა, განა ყველა ბავშვი, მომავლის იმედად აღსაზრდელი, ქვეყნის საკეთილოდ განსაწვრთნელი და განსასწავლი, ჩემი შვილები არ არიან!?" დიახ, შვილნი სულიერნი, ხორციელად იქნება უცხონი და შორეულნი, მაგრამ ქვეყნის ჭირისა და წუხილის შემატკივარ გულთან, საერთო უბედურების თანამგრძნობელ გონებასთან, საერთო ბედნიერებისათვის წრფელად ალტყინებულ გრძნობასთან მკვიდრად, მტკიცედ დაკავშირებულნი და მსისხლ-ხორცებულნი, შენათესავებულნი!...

ასეთი იყო აწ გარდაცვალებული დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი!..

ამ უკანასკნელ ოც-და-ათის წლის განმავლობაში არ აღმოცენებულა არც ერთი კეთილი საქმე, არ შექმნილა არც ერთი საზოგადო, საერო დაწესებულება, რომლისათვისაც განსვენებულს თავისი შველა და დახმარება არ გაეწიოს, რომლისაკენაც თავისი კეთილად მხედველნი თვალნი არ მიეპყრას თანაგრძნობითა და ნუგეშით. ბევრი კეთილი აქვს დათესილი განსვენებულს ჩვენს სიღარიბით უბედურს ქვეყანაში, ბევრი ახალგაზდა გამოუზარდა თავისის საფასით ჩვენს დაბეჩავებულს სამშობლოს. ტყუილად-კი არა სწერს ერთი იმათგანი: „მისი სახელი ნუგეშად გაისმოდაო; მისის

# ნაზიმბეი მოუკლავთ!..

(ეტიუდი მუსულმანთა ცხოვრებიდან).

ჰარ ქიახ დოსტ დედიმ,—
დუშ მანიჯან ოლლი მანა:
დუშმან ეზ ბაზტიმ იმიმ,—
ინდი აიან ოლდი მანა...
თათრ. მიქასტიდან*).

(ვუძღვნი ბაქოელ ქართველებს).

— ოხ, რომ იცოდეთ, ჩემი ლიუტვია**) მიყვარს ისეთის მოუსვენარის, თავდამავიწყებელის გრძნობით, როგორიც მთელ დუნიაზე, მგონი, ჯერ არავის გამოუცდია!— მიამბობდა „ყაჩაღი" ნაზიმ-ბეი და გიშერივით შავს, უძირო თვალებიდან მძლავრ ვნებისა ცეცხლს აკვესებდა,—აღარც ძილი, აღარც მოსვენება; იმისი სახე ერთავად გადამფარებია თვალებზე, მოსვენებას მიფრთხობს, წამით შესასვენებელი ადგილიც ვერ მიპოვნია: იმაზე ფიქრის მეტი, სხვა რამ აზრი ჩემს თავში აღარა ტრიალებს...

ერთხანად მოლად ვემზადებოდი და ბევრი მიკითხავს ყორანი და შარიათი. კანკალი ამიტანდა ხოლმე დუნიის მპყრობელ, ყოვლად შემძლებელ ალლაჰის სახელის გახსენებაზე, ეხლა კი... ეხლა,—ისიც დაიჩრდილა და იმისი ადგილიც დაიჭირა ჩემმა ლიუტვიამ, რომელსაც ვლოცულობ, ვეთაყვანები...

ვერავითარი რისხვა წარბსაც ვერ შემიხრის, მაგრამ საკმარისია ლიუტვიამ შუბლშეკვრით გადმომხედოს, და მთლად ვლაჩრდები, ვდუნდები, დაბეჩავებულ, ილაჯ-დაკარგულ დედაკაცად ვიქცევი ხოლმე... ხომ მხედავთ, რომ მოვიწადინო ერთ ურემს თამამად წამოვიკიდებ, მაგრამ მირჩიეთ, თუ ღმერთი გწამთ, ვის ჩაუვარდე ფეხ-ქვეშ, ვის სამუდამოდ მონად გავხდე, რომ ვიპატიო იმულებითი დანაშაული... ერთი კვირით მაინც მოურიდებლად, უშიშრად, დაუზვერავად მამყოფონ ჩემს ლიუტვიასთან!.. დავიჯერო, არ გებრალებით?! მირჩიეთ რამ, ვის მივმართო, როგორ მოვიქცე?!—შემუდარებოდა ნაზიმბეი და მისი ნაღვლიანი თვალები საიმედო პასუხს ელოდნენ.

ჩვენს ახლოს, ცრემლივით წმინდა ნაკადული ჯერ ბუტბუტით იზიარებდა მის კაეშანს—შემდეგ კი, თითქოს იმასაც იმედი გადაუწყდაო, თავ-გამოდებით ევლებოდა სალს კლდეს და, ქაფად ქცეული, ზრუილით ეხეთქებოდა ძირს, უფსკრულში...

ახალი გაზაფხული იყო. ჩვენ ვისხედით ცამდე აყუდებულ ზუვანდის***) მთების ერთ-ერთ კალოსოდენა აბიბინებულ მინდორზე.

მე და ნაზიმბეი შემთხვევით გავეცანით ერთმანეთს. ამ ათიოდე წლის წინად ერთ-ერთ მაზრის ტყეებს განვაგებდი და ხშირად მიხდებოდა ტყე-დრეში მოგზაურობა. წინედაც მიყვარდა—გავშორდებოდი ქალაქის აბობოქრებულ ცხოვრებას და მთელის ჩემის არსებით მივეცემოდი ზურმუხტოვან ქოჩორით და კალთებით მორთულ ამაყ, ბუმბერაზ მთებს.

იმ დღესაც, როცა ნაზიმბეის პირველად შევხვდი,—მზის ამოსვლიდან—საღამომდე ცხენებით თავს გადავევლეთ ბევრს მთა-გორაკებს და ჭალა-მინდვრებს, მაგრამ დაღლილობას იმდენად ვერც კი ვგრძნობდი. ბოლოს მივადექით კალოსოდენა, ხალიჩასავით ყვავილ-ბალახით მოქარგულს მდელოს, სადაც ამ ამბის დასაწყისში ნაზიმბეი მივატოვეთ. ამ მდელოს ერთ ნაპირას, ერთ დაფხავებულ და დახავსებულ მუხის ძირში გაშენებული იყო ტყის მცველის ქოხი, სადაც მიყვარდა ღამის გათენება.

ცხენები იქვე საბალახოდ გაუშვით და ჩემი თანამგზავრნი საგზლის მოსატანად მახლობელ სოფელში წავიდნენ. ნაბადი გავშალე და ზედ წამოვწექი. ზემოდან ლურჯი ცა დამყურებდა. საძოვრად გაშვებულ ცხენების მადლიანი ხრამუნი, რუს გაბმული ლუკლუკი, ტყის იდუმალი შრიალი, ნაზი სიო,—თითქოს ძილის პირს მღეროდა და მეც უნებლიედ ჩამთვლიმა.

— ალლაჰ სახლასინ, აღა!..*)— მომესმა მოულოდნელად უცნობი ხმა და შემკრთალმა თვალები გავაჰყიტე. ჩემს წინ იდგა ახოვანი, 25—26 წლის მდევივით ვაჟკაცი; შავგვრემანი, ეჩხით სავსე აზრიანი სახე, ხშირი წარბები გრძელ წამწამებით, გაჩირაღდებული გაბედული თვალები სიცოცხლითა უკრთოდა, გვერდზე მოქცეულ ნაბდის ქვემოდან გამოიყურებოდა რამდენიმე წყება პატრონტაშისა. მარცხენა ხელით ის ბერდანის თოფს დაყრდნობოდა.

— სან ქიმსან?.. ნა ისტიერსინ?..3)—ცოტა არ იყოს შეშფოთებით დაუწყე გამოკითხვა თოფიარაღში ჩამჯდარ დაუპატიჟებელ სტუმარს.

— სანინ დოვაჩი ნოქარუხ,—მოკრძალებითა და გამამხნევებელის ღიმილით მიპასუხა იმან და განაგრძო, —უეჭველია გაგეგონებათ ჩემი, ყაჩაღ ნაზიმბეის, სახელი, რომელსაც პოლიცია აგერ რამდენი ხანია თავგადაგლეჯილი დაეძებს.

ნიზამბეის სახელი მე კი არა, იმ მხარე ბავშვებმაც კი იცოდნენ. ბევრი ზღაპრული რამ მქონდა ნაზიმბეზე გაგონილი და, რაღა თქმა უნდა, დიდის ინტერესით დაუწყე გამოკითხვა.

— ბოდიშს ვიხდი შეწუხებისთვის,—დაიწყო ისევ კრძალვით ნიზამბეიმ,—მაგრამ რა ვქნა, რომ ვეღარ მოვითმინე და ბევრი ყოყმანის შემდეგ, როგორც იყო გავბედე თქვენთან მოსვლა დახმარების მისაღებად. თუმცა თქვენ ჩვენი რჯულის კაცი არა ხართ, მაგრამ ამ ჩვენ მხარეში ყველა ღირსეულ ადამიანად გიცნობთ და მადლობით იხსენიებს თქვენ სახელს. მოფერებით არ გეტყვით და...

— კარგი, მაგრამ რით შემიძლია დაგეხმარო?—გავაწყვეტინე გადამეტებული ქათინაური სტუმარს,—დაჯექი, მიამბე რაშია საქმე?

ნაზიმბეიმ შორი-ახლოს მოხდენილად მოიკეცა, თოფი მუხლებზე დაიდო, თავი ჩაჰკიდა და ცოტა ხნით შეჩერდა, თითქოს იმის რჩევაშია, თუ საიდან დაიწყოს თავისი ხანმოკლე, მაგრამ ჭეტად შფოთიანი და ხიფათებით სავსე ცხოვრების მატიანე.

ღამდებოდა, სიგრილე საგრძნობლად მატულობდა, მაგრამ ცეცხლის ანთება უხერხული იყო ნაზიმბეისთვის. ზემოდან მოცინარი ვარსკვლავებით მოჭედილი ლურჯი ცა დაგვყურებდა. ჩვენს გარშემო მოდარაჯე ტყე მიყუჩდა, მიეძინა, ფოთოლთა ოდნავი ჩურჩულიც კი აღარ ისმოდა, სამაგიეროდ ამ გამეფებულ სიჩუმით ისარგებლა რუმ და უფრო ამაღლებული ხმით საოცნებო ზღაპრებს მოუთხრობდა ბურანში წასულს მუხნარს...

ნაზიმბეიმ ჯერ მორიდებით და ხმა-დაბლა დაიწყო თავ-გადასავალი და თან მალი-მალ ყურ-მახვილ შვლივით აქეთ-იქით იყურებოდა, შემდეგ კი ყველაფერი დაავიწყდა და მის რიხიან ხმას სულ მეტი აღშფოთება და მოურიდებლობა დაეტყო.

— არა, თქვენი ჭირიმეთ, ნეტავი ვის რას ვუშავებდი, ვის რას ვართმევდი: სამყოფი სახნავ-სათესი მიწა მქონდა, გარჯა მიყვარდა და საქმეში არავის ჩამოუვარდებოდი; ჩემი ძვირფასი მოხუცი დედა და ნაამაგდარი ქოხი მიყვარდა და ჩემთვის ჩუმად ვფუსფუსებდი. უბრალო წყენაც კი ჩემგან მეზობლებს არ ახსოვს და ეხლაც არავინ იტყვის ჩემზე ძვირს.

მთელი ჩემი დანაშაულება მხოლოდ იქიდან წარმოდგა, რომ ჩემ მეზობლის ქალიშვილს, პატარაობიდან თანშეზდილს ლუტვიას ერთგულ ძაღლივით იმდენად შევეჩვიე, რომ აუცილებელ ადამიანად შეიქმნა იგი ჩემთვის და უიმისოდ, როგორც თევზს უწყლოდ, როგორც ადამიანს უჰაეროდ, ყოფნა აღარ შემეძლო. ჩემზედ ნაკლებ, არც ჩემი სატრფო—ლუტვია იყო ისარ ნაკრავი: რომ ტყიდან, ან სხვა სოფლიდან ღამე შემგვიანებოდა, იგი აჩრდილივით აეკროდა ხოლმე თავიანთ ქოხის კედელს და მოუთმენელ ცდაში სული ელეოდა.

— თავსამც შემოგევლები,—შემუდარებოდა ის—მალე წამიყვანე შენთან, თორემ მოთმენა აღარ შემიძლიან, გული რაღასაც ცუდს მითხრობს: ჩემი ბიძაშვილი ჰასანა ვერაგულის თვალით მიმჩერებიაო...

*) ვინც მეგობრად დავიგულე,—
ყველა მტერი გახდა ჩემი:
ეტყობა დამბედებია ყველას მტრობა,—
და ეს მხოლოდ ახლა შეიქმნა აშკარა
ჩემთვის.

**) ქალის სახელია.

***) ლენქორანის მაზრაში.

*) ღმერთი გფარავდეთ, ბატონო.

3) შენ ვინა ხარ, რა გინდა?!

უკვდავების ძეგლი აღმართულია ყველა იმათ გულში, რომელთაც შველასა და დახმარებას უწევდა იგი სწავლისა და ცოდნის შეძენისათვისაო; ერთი აგური ამ ძეგლისა სძევს და საუკუნოდ იდება ჩემს გულშიაც, თვალთაგან-კი მწუხარების ცრემლი მცვივაო."

ნურავინ იტყვის, ფული ჰქონდა და აძლევდაო. ფულისა და სიმდიდრის ქონება აქ არაფერს შუაშია. ფული იმისათვის საშუალება იყო, სახსარი და არა საგანი, მიზანი. ფულთან განსვენებულს გული ჰქონდა თვისთა მოძმეთა ჭირისა და ვარამის შესამსუბუქებელ სპეტაკის აზრით აჩქროლებული და აძგერებული. შორს-მხედველი, განვითარებული გონება ჰქონდა და ამიტომ სიმდიდრე მისი მსახური იყო და არა ბატონი; კარგად იცოდა, რომ ფული ძალიან ცუდი ბატონია და მოსამსახურედ კი—მეტად კარგი მოსამსახურე, და მოიმსახურა კიდეც მოძმეთა საკეთილოდ, თავის ქონებას, ფულს კეთილი გული და მშვენიერი სული დაუყენა წინამძღვრად და მოურავად და ამითი უკვდავების ძეგლი დაიდგა ყველა ქართველის გულში, რადგან, ბარათაშვილისა არ იყოს,

თვით უკვდავება მშვენიერსა
სულში მდგომარებს.

აი, სწორედ ეს მშვენიერი სული იყო მიზეზი, რომ მისის სიკვდილის ამბავი მთელს საქართველოს და კავკასიაში სამგლოვიარო ზარად გაისმა და ყველას გული მწუხარებით აღავსო და გამსჭვალა. გადიკით ხეთ ქვეყნის თითქმის ყოველ კუთხიდგან მოსული სამგლოვიარო დეპეშები, თვალი გადაავლეთ მის ჯერ დაუკრძალავ კუბოს წინაშე თვალ-აცრემლიანებულს ხალხს და დარწმუნდებით, რომ ქართველმა ერმა, ჩვენმა სამშობლომ დიდი მეგობარი და ჭირისუფალი, დიდი ნათესავი და მოკეთე დაჰკარგა, და არ გაგიკვირდებათ, რომ დიდი და მცირე ასე საერთოდ ჰგლოვობს და თვალ-ცრემლიანად დასტირის მისს უსიცოცხლო გვამს. დიაღ, ჩვენმა ბეჩავმა, ღარიბმა, უკაცო ქვეყანამ ჭეშმარიტი „კაცი" დაჰკარგა, „კაცი", რომლის მნიშვნელობასაც ასე ახასიათებს პოეტი გრ. ორბელიანი:

კაცი ის არის, ვის გულსაც ესმის
ციური სიტყვა: „ძმობა", „ერთობა",
და სიყვარულით აღვსილის გულით
დავრდომილთ მოყვასთ მოეხმარება.

საკმარისი იყო ერთხელ დაჰლაპარაკებოდით განსვენებულს, ერთხელ ჩაგეხედათ მის „სულის სარკეში", ერთხელ გენახათ მისნი ნათელნი და კეთილად მხედველნი თვალნი, მოგესმინათ მისი გაბედული, დაურიდებელი, ჩვენის სიდუხჭირის გამკიცხავი და სიკეთის ალტაცებით აღმომეტყველი სიტყვები, რომ გეთქვათ,—ამ კაცს გულის საუნჯე სავსე აქვს საიდუმლო სპეკალით, ჭეშმარიტად ქვეყნის ტკივილითა სტკივა გული და გაიღებს არა თავისის თავის განსადიდებლად, არა თავ-მოყვარეობისათვის, არამედ იმიტომ, რომ მართლაც გულითა და სულით არის მოწადინებული სამშობლოს ბედნიერებასა და ხალხის სიკეთესა და კეთილდღეობასაო. მისი ყოველ დღიური ფიქრი და ზრუნვა საერთო, საქვეყნო საქმე იყო. ამ თოთხმეტს წელიწადში, როდესაც ხშირად ვხედავდი განსვენებულს, თითქმის არც-ერთხელ არ დამლაპარაკებია ისე, რომ ამა თუ იმ საზოგადო საქმეს, საზოგადო დაწესებულების ავ-კარგიანობას არ შეჰხებოდა და თავისი შორს-მხედველი, გამოცდილი, ნათელი, მართალი აზრი არ გამოეთქვა.

შარშან სწორედ ამ დროს განსვენებული ალტაცებით მომეგება ბერლინში, ფრიდრიხშტრასსეზე, დიდად ისიამოვნა ჩემის ევროპაში გამგზავრებით და პირველი მისი სიტყვები ეს იყო: „არტემ, მოესწრობა როდისმე საქართველო, რომ ისეთი მდიდარი იყოს განათლებულის ხალხით და ისე მოწესრიგებული, როგორიც გერმანიაო?" და ეს მაშინ, როდესაც უკურნებელს სენს უკვე ბრჭყალები გაეკრა მისის მოსიყვარულე გულისათვის, როდესაც ჰაშინელის ტკივილებისაგან ხშირი კვნესა ისმოდა მისთა ბაგეთაგან და კარგად იცოდა, რომ დიდის ხნის სიცოცხლე აღარა ჰქონდა.

ამბობენ, ავადმყოფი, მძიმე სენით შეპყრობილი, მომაკვდავი ადამიანი დიდი ეგოისტი ხდებაო. თვალი გადაავლეთ განსვენებულ დავითის უკანასკნელს სიტყვებს—იმისს ანდერძს და დარწმუნდებით, რომ ამ მხრივაც ეს შესანიშნავი ადამიანი განირჩეოდა სხვათაგან, ღირსეულის ანდერძით დაგვირგვინა მან თავისი კეთილი და ნაყოფიერი სიცოცხლე და კუბოს კარების წინაშეც მისი უკანასკნელი სურვილი საერო, საქვეყნო ჭირის გაზიარება იყო. ჭეშმარიტად იმაზედ არის ვამოთქმული გურამიშვილის სიტყვები:

მოკვდა და თვისის ანდერძით
აწ ისევ საქმობს მკვდარიო!..

საუკუნოდ იყოს სახელი და სახსენებელი შენი, დიდებულო დავით, და შენს დაობლებულს, ცრემლად ქცეულს თანამოზრე და შენთა კეთილთა საქმეთა მოზიარე მეუღლეს, პატივცემულს ეკატერინე ივანეს ასულს ნუგეშად ის-ღა ჰქონდეს, რომ ამ ჟამად მის მწუხარე გულთან ერთად მწუხარეთვე სძგერს მთელის ერის გული და რომ დღეს შენის ძვირფასის ნეშთის წინაშე მოწიწებითა და მადლობით მუხლს იდრეკს მრავალიც სხვა, მისებრ შენის სიკვდილით დაობლებული!..

ა. ახნაზაროვი.

## დიდ მოამაგის დაკარგვა და საშინელი სენი

ჩვენს ბედკრულს ქვეყანას მუხთალმა ბედმა მისტაცა დიდი მოამაგე დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი. ერთის წლის წინად ეს ძალ-ღონით ალსავსე ქართველი მომავალი იმედებით იყო გამხნევებული, დღეს ულმობელმა სიკვდილმა გამოასალმა იმედებსაც, სიცოცხლესაც და საყვარელს სამშობლოსაც.

მე ამ ჟამად არ ძალმიძს აღვნუსხო არც დიდი ამაგი განსვენებულისა და არც მისი უმაგალითო ქველმოქმედება. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ განსვენებულს მამისაგან დარჩა მცირედი თანხა, და მან ეს თანხა თავისი ცოდნით და მხნეობით მილიონებად გადააქცია, თუმცა თავისს მომუშავეთ აძლევდა იმდენს საფასს, რამდენსაც არც ერთი მასზე მდიდარი მილიონერი არ იმეტებდა და არ იმეტებს. და ბოლოს მთელი თავისი დიდი ქონება, შეძენილი პატიოსანი გზით და უმწიკვლო მოქმედებით, მან დაუტევა ქვეყანასა.

განსვენებული იყო ტფილისის მოქალაქის შვილი და მასში მოქალაქობრივი ღირსებანი უმაღლეს წერტილამდინ იყვნენ ასულნი, საფუძვლიანი ევროპიულის განათლების მეოხებით.

იგი რომ ჩვენებურის ბრწყინვალე წოდების წევრი ყოფილიყო, მამისაგან დარჩენილს თანხას სწრაფად გაფლანგავდა, გაღატაკდებოდა, შაბათის გლახად გადიქცეოდა და თვითონაც პირადად გახდებოდა ქველმოქმედების ობიექტად, რის მაგალითებს ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ ახლანდელს დროში. ბედად იგი დაიბადა მოქალაქედ და გადაიცვალა სასიქადულო მოქალაქედვე, რაიაც ჩვენს შორის ჯერ არც ერთი ბრწყინვალე შემძლებელი არ ღირსებია.

მე ამ ჟამად მწადიან ორიოდე სიტყვით შევეხო იმ საშინელს სენს, რომელმაც იმსხვერპლა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე. ამ სენს რუსულად ეძახიან რაკს, ქართულად—კუს. ეს სენი ჩვენს ძვირფასს დავითს გაუჩნდა ერთის წლის წინად ნაწლევებში და ევროპის საუკეთესო ექიმებმა ვერაფერი გაწყეს ვერც წამლებით და ვერც ოპერაციებით. ამ ულმობელმა სენმა საქართველოს წაართვა იმისთანა შვილი, რომელსაც დღეს ბადალი არა ჰყავს ჩვენში და რომლის დაკარგვამ გააჩინა ვეებერთელა ცარიელი ადგილი, რომელსაც ვინ იცის როდის დაიჭერს რომელიმე ღირსეული ქართველი მოქალაქე.

საოცარია, რომ ეს საშინელი სენი უფრო იმათ ემტერება, ვინც დაჯილდოვებულნი არიან მაგარის აგებულობით. ამ სენმა ტფილისში, ჩემს ნაცნობებში, იმსხვერპლა: ექიმი მალინინი, ექიმი ბაბოვი, ვექილი საყვარელიძე, მემამულე გრიკუროვი, ნადირექტორალი მარკოვი, რომელთაც მაგარი აგებულობა ასის წლის სიცოცხლეს აღუთქვამდა. რუსეთში კუმ ბოლო მოუღო, სხვათა შორის, ივანოვსკის, ჩვენში მზრუნველად ნამყოფ, პიროგოვს—სახელოვან ქირურგს და ბევრს სხვებსა.

ეს სენი უჩნდება არა ერთს რომელსამე ასოს ადამიანისას, არამედ თითქმის ყველას: ტუჩს, ენას, ყელს, კუჭს, ნაწლევებს, თირკმელს, ღვიძლს, სასქესო ჯირკვლებს და სხვებსაც. დღემდე მედიცინამ მისი წამალი არ იცის. არ არის გამოკვლეული ისიც, თუ რა პირობანი, რაგვარი ცხოვრება, რანაირი ჰავა უწყობს ხელს ამ მამაკვდინებელი სენის ჩასახვას და გაძლიერებას.

ამბობენ, რუსეთში ეს სენი ერთი ორად და სამად უფრო გავრცელებულია, ვიდრე საქართველოშიო. და ამას იმითი ჰხსნიან, რომ კავკასიური ციების მიკრობები ებრძვიან კუს მიკრობებსა და სძლევენო. თუ ეს მართალია, მართლდება ძველი ქართული ანდაზა: ზოგი ჭირი მარგებელიაო.

ძლიან კარგი იქნება და ფრიად სასარგებლო, თუ ამ უუბედურესი შემთხვევით ისარგებლებენ ქართველი ექიმები და განუმარტავენ ქართველს საზოგადოებას, თუ რა მიზეზები ჰბადებს ამ სენსა და რა ცვარემოებანი უწყობენ ხელს მის გაძლიერებას, რა ღონისძიებით შეუძლიან ადამიანს ამ სენის თავიდან აცილება და სხვა. მართალია, ეს საკითხი ჯერ სავსებით გამოკვლეული არ არის, მაგრამ რაც ამ ჟამად სამეცნიერო მედიცინამ იცის კუს შესახებ, იმისი განმარტებაც ზოგს მაინც იხსნის ამ სენის შეხვედრისაგან, და ეს კი დიდი ღვაწლი იქმნება ჩვენის ექიმების მხრივ.

იაკობ გოგებაშვილი.

## ყაჩაღობა ერწოს მხარეს

(თიანეთის მაზრა).

12 ამ თვეს საღამოთი ჯერ ისევ სინათლით, რვა შეიარაღებული კაცი ხოფელ ყეძათხევში მცხოვრებელს ურჯუკას მიუცვივდა. ურჯუკას სახლობა ბაკში ძროხებსა სწველავდა. ყაჩაღებმა დედაკაცს თოფის კონდახი წაჰკრეს და უბრძანეს შინ შესულიყო. აგრეთვე შეაგდეს შინ ურჯუკა და მისი მეზობელი—ზურაბოვი. ავაზაკთაგან, ორი გარეთ დადგა ყარაულად, ექვსნიც შინ შევიდნენ. უთხრეს ურჯუკას: „აბა ჩქარა მოიტა იმ მამულის „კუპჩები", რომელიც შენ მიითვისე და ფულიო".

ქაღალდები მოატანინეს, და ფულზე კი უთხრა ურჯუკამ: „ეხლა არა მაქვს ფული, ვადა დამინიშნეთ, და ვიშოვნით სადმეო". ავაზაკებმა, ურჯუკას შემოხსნეს ვერცხლის ქამარხანჯალი; მერე მეზობელ ზურაბოვს შემოხსნეს ხანჯალი და უთხრეს: „ხელები მაღლა დაიჭირეო". შემდეგ მოატანინეს მუთაქა, დაადებინეს ტახტზე და უბრძანეს ურჯუკას: „დაწვე შენის ნებით და კარგად გასწორდიო". საბრალო მსხვერპლი ურჯუკა დააწვინეს, დაახალეს ერთად სამი ბერდანის ტყვია, და მერე ბრაუნინგი დაუშინეს, თითქმის სული დააცხავეს და არხეინად გაუდგნენ გზას.

16 ამავე თვეს, ხოფ. სამხრეთში ფილო ვეფხოშვილს მიუცვივდა 8 შეიარაღებული კაცი. ვეფხოშვილი შინ არ დაუხვდათ; იყვნენ მხოლოდ დღიური მუშები. ავაზაკებმა მოხვეტეს თუ რამ ხეირიანი მოახელეს სახლში; მერე, ერთ მუშას წაართვეს ხანჯალი და მეორეს ჩოხა; უკანასკნელმა უთხრა: „დღიური მუშა ვარ, გთხოვთ ჩოხა დამიბრუნოთო", რაიცა ავაზაკებმა შეასრულეს და გაუდგნენ გზას...

## ხმა ცხინვალიდან

ისეთს ერთ-ფეროვან და ფუქსავატ ცხოვრებას, როგორიც ცხინვალში გამეფებულა, იშვიათად შეხვდება ადამიანი. თითქმის ყოველ აქ მცხოვრებს გარს შემოჰხვევია პირადი ინტერესების, დაქუცმაცებული ცხოვრების ბინდი და გასაქანს არ აძლევს.

საზოგადო დაწესებულებებს სალათას ძილი მოჰხვევიათ, მიუხედავათ იმისა, რომ როდესაც იმათ აარსებდნენ, ცხინვალელებს დიდი აღფრთოვანება ეტყობოდათ.

ამ ორი წლის წინედ აქ ააშენეს უშველებელი სათეატრო შენობა, რომელშიაც 400—500 სული თავისუფლად დაეტევა; ახლა კი უპატრონობისა გამო საცოდავ სურათს წარმოადგენს.

დაარსდა აგრეთვე საკრედიტო საზოგადოება, ბევრი ილაპარაკეს და წელდებაც შეიმუშავეს საკვირაო სკოლისა, კლუბისა, დრამატიულ საზოგადოებისა და სხვა. მაგრამ... ყოველივე ამას გიჟი ლიახვი „სულთა-თანას" უგალობს.

რა მდგომარეობაშია აქაური ბიბლიოთეკა—სამკითხველო?..

ერთობ სამწუხაროა მისი ბედ-იღბალი. ამ ორი—სამი წლის წინედ, როგორც იყო, დიდი ვაი-ვაგლახით მიჩანჩალობდა. რამდენიმე წიგნაკი და ორიოდე გაზეთი შეადგენდა მის ავლადიდებას. ხალხი, თუმცა დიდის ინტერესით არა, მაგრამ მაინც დადიოდა. ახლა კი... ამ დაწესებულების ხსენებაც აღარსად არის. ის ორიოდე წიგნაკი, რომელიც ბიბლიოთეკას გააჩნდა, როგორც გავიგე, ერთს ურიის სახლში გამტვერიანებული და თითქმის თაგვებისაგან დაჭმული.

ასეთს არა სასიამოვნო სურათს წარმოადგენს აქაური საზოგადო დაწესებულებანი.

მაშ არა საქმიანობს საზოგადოება?—იკითხამს მკითხველი.

თითქმის ყველას კერძო ინტერესი, ეგოისტური გრძნობა ასულდგმულებს. თუ ვინმე ამ ფარგალს გასცილდა, ეს იმაში გამოიხატება, რომ მონახავს ტოლ-ბიჭებს, წინ გაიმძღვარებს საზანდარს და ეწვევა ერთ-ერთ „ნოეს სამკურნალოს", რომელთა რიცხვი ცხინვალში ლეგიონია. იქ კარგად შეზარხოშდება, შემდეგ გამოვა ქუჩაში და ჰერი-ბიჭო, ცა ქუდად აღარ მიაჩნია და დედა-მიწა ქალამნადა.

მესამე ნაწილს აქაურის საზოგადოებისას მოსწავლე ახალგაზდობა შეადგენს.

იქნება ესენი აკეთებდნენ რამეს?.. თქვენც არ მომიკვდეთ.

ცუდ-უბრალო ლაზღანდარობა, ქალებთან არშიყობა და ქუჩების ტკეპნა,—აი, აქაურ ახალგაზდათა საზაფხულო ცხოვრების თავი და ბოლო.

რაც შეეხება მეოთხე ნაწილს, იმათგან კიდევ უნდა გამოელოდეს რამეს ადამიანი. ეს ნაწილი, შეძლებისა დაგვარად, სცდილობს ყოველივე იერ დაკარგული და მიძინებული აამოძრაოს, სასურველი სახე მისცეს, მაგრამ ერთის მხრივ მომცროსა და მეორე მხრივ ზეით დასახელებული გარ-შემორტყმული მდგომარეობისა გამო, ჯერ-ჯერობით ვერაფერს აწყობს. ვისურვებ კი, რომ ამ ნაწილის მეცადინეობას თავისი ნაყოფი გამოეღოს.

ცხინვალის ამ არა-სასიამოვნო მდგომარეობაში, ერთმა უტიფარმა მიმართულებამაც იჩინა თავი. ეს გახლავს ახალნაირი შანტაჟი, რომელსაც არა ერთხელ ჰქონია ადგილი დაბა-ქალაქებში. ჯერ კიდევ შარშან ცხინვალში რამდენჯერმე მოიტაცეს მდიდართა შვილები, რომ მათ მშობ-

---

დიახ, ლუტვიას ერთ-ერთი ბიძაშვილი ჰასანა სტრაჟნიკად მსახურობდა და დაიმედებული იყო, რომ ლუტვია იმის ხელიდან ვერ წაუვიდოდა. მაგრამ გადაჭრილი უარი რომ მიიღო და ალერსითაც ქალის გული ვეღარ მოიგო, თავის ძალაგავლენით მოიწადინა ლუტვია ჩემს ხელიდან გამოეგლიჯა. მეც ჰასანასთან ხვეწნა-მუდარით ვერას გავხდი და ამიტომაც გადაჭრით ვურჩიე გზიდან ჩამომშორებოდა. ჰასანაწ ჩემი მუქარაც სიცილადაც არ ეყო:

— ხომ არ გინდა ერთი კი წავჩურჩულო ბოქაულს და ამოგალპო სტუსაღოში, ან სამუდამოდ გადაგასახლებინოო—დამემუქრა.

ჩვენ შორის განწყობილება მეტად გამწვავდა: იმას ჟინიანობა და ყოჩიური თავგამოდება და ჩემი კიდევ ლუტვიასადმი უსაზღვრო გრძნობა ნებას არ გვაძლევდა ერთმანეთისადმი დაგვეთმო. ბოლოს დანამდვილებით გადმომცეს, რომ ჰასანას უკვე კადაუწყვეტია და მოუწყვია ჩემი შეპყრობა და ციხეში ჩასმა ჩვენს სოფლის ახლოს ერთ ვილასგანაც ჩადენილ მკვლელობის გამო და შემდეგ თურმე აპირებდა ლუტვიას ძალით გატაცებასაც.

ერთხელ, შუა ღამისას, რაღაც ჩოჩქოლი და ძაღლების საშინელი ყეფა შემომესმა. გულმა უსიამოვნოდ ძაგა-ძუგი ასტეხა, ფეხზედ წამოვარდი, თმა-გაწეწილი დედაჩემიც წამოიჭრა ლოგინიდან და დაფეთებული, აცახცახებული, წინ გადამეღობა. წინად გრძნობა კარგს არას მეუბნებოდა. ის იყო დედაჩემმა კარები გააღო, რომ, რამდენსამე მთლად შეიარაღებულ სხვა სტრაჟნიკებთან ერთად, ჰასანამ ჩვენ სახლში თავი შემოჰყო. თავხედ, დაუპატიჟებელ სტუმრებს დედაჩემი მუხლებში ჩაუვარდა—მე წამიყვანეთ, მე მაწამეთო!—შემძრწუნებულის ხმით გაჰკიოდა საბრალო.

ჰასანამ დედაჩემი ფეხის-კვრით მოიშორა და ჩემს შესაპყრობლად წამოიწია... აი ამ დროს... სწორედ გითხრათ აღარც კი მახსოვს, ისე უცბად ჩემი ქანგ-მოკიდებული ხანჯლით როგორ გაუგმირე გული ჩემს მოქიშპეს და იმისავე ბერდანის თოფით გავჩნდი ამ ტყეში. აგერ მესამე წელიწადია, რაც ვატარებ ძაღლ-უმადურ დღეებს. ჰასანას მაგიერ სტრაჟნიკად იმისი ძმა იდრისი დანიშნეს და ისიც თავგამოდებით სცდილობს უმფროსებსაც აამოს და ძმის სისხლიც აიღოს. ღმერთმა ხომ იცის, დიდი ხანია მე ის შემეძლო წიწილივით გამეთავებინა, მაგრამ იმასაც ვნანობ, ვინც კი ძალად თავი შემომაკლა.. რომ შემეძლოს აქაურობას მოვშორდე მაინც და გადავიხვეწო სპარსეთში, მაგრამ სად გავექცევი ჩემს გულს, ჩემს გრძნობას!..

— ახლა თქვენ მიბრძანეთ, როგორ უნდა მოვქცეულიყავ? დამარიგეთ, ეშველება კი რამ საქმეს? მოხერხდება კი როგორმე, რომ მსუბუქ სასჯელით გადავრჩე და ისევ სოფელში დავბრუნდე?—მალი-მალ შომმართავდა ხოლმე ნიზამბეი და პასუხს არც კი უცდიდა,—ის თავისი მოგონებებით ერთთავად თავს დასტრიალებდა ნახევრად ჭკუაზედ შერყეულ დედას, თავისს სატრფოს, სოფლის ავ-კარგს და ხშირად ვერც კი ამჩნევდა, რომ უკვე ნათქვამს,—გულში ღრმად ჩანაჭდევს, იმეორებდა. ის თითქოს თავის ამბის გათავებას აღარც კი ლამობდა, რომ არ შეეწყვეტინებინათ თავზე წამომდგარ ჩემს თანამგზავრთ.

მაშინ კი ნაზიმბეი წამოხტა, გამომემშვიდობა და ნება მთხოვა, შემდეგაც გნახავთო. ის მალე მიეფარა ტყეს. ცოტა ხნის შორიდან მოისმა სევდიანი სიმღერა, რომელიც თანდათან გაქრა და გარს მიმყუდროებულ მიდამოს წიაღში.

ამ პირველ შეხვედრის შემდეგა არა იშვიათად ვხვდებოდით ხოლმე მე და ნაზიმბეი. მოჰკრავდა ყურს თუ არა, რომ მთაში ვარ, უეჭველად მოახერხებდა ჩემს ნახვას. ხშირად გაზეთებიდან ან წიგნებიდან ამოკითხულს ცნობებს ვუზიარებდი და ის ბავშურის ცნობის-მოყვარეობით ჰყლაპავდა ყოველ გაგონილს სიტყვას.—როგორც დასიცხული ცივ წყაროს, ისე მუდამ გკითხულობთ და მოგელითო,—მეტყოდა ხოლმე ქათინაურს ნაზიმბეი და თავის ვარამს მომიყვებოდა.

შემოდგომა იწურებოდა. გამქრალიყო მცენარეთა სიკეკლუცე-მორთულობა. მთა-გორაკები სიცივისაგან ნისლის საბნებში ეხვეოდნენ. მოშავბნელებული ცა დაჟინებით იცრემლებოდა. სუსხიანი ქარი და სინესტე ლვიძლებში უვლიდა ადამიანს. ერთ-ერთ ასეთ უკმურ დღეს, მოგზაურობის დროს, ღამის გასათევად შევაფარე თავი ნაზიმბეის სოფელს. თავ-შეყრილ ნაცნობთანამგზავრთა ლაპარაკი და მოგონება დასტრიალებდა ნაზიმბეის სივაჟკაცეს, მისს ტანჯვა-ვაებას სატრფოს დაშორების გამო და მეტად სახიფათო ყოფას. სხვათა-შორის საიდუმლოდ გადმოგვცეს, რომ რადგანაც ნაზიმბეის აქ აღარ ეცხოვრება, ამ ახლო ხანში უნდა თავისი საპედო და დედა გააპაროს და გადვიდეს მახლობელ (სულ ათიოდე ვერსი იყო) სპარსეთშიო. ამ ამბებმა და ოთახის სულშეხუთულობამ ცოტა არ იყოს კარგად არ იმოქმედა ჩემზე და ოთახიდან სუფთა ჰაერზე გამოველი.

ამინდი შეცვლილიყო: ცას ღრუბლები მოეშორებინა და დაკეცილი მთების მწვერვალებზე დეელდებინა. პირდაბანილი ვარსკვლავები ციალებდნენ. მოქანცულ სოფელს ეძინა მკვდარი სიჩუმე იყო გამეფებული. მე კი ძილი არ მეკარებოდა, იქვე ხის კუნძზე ჩამოვჯექ. ფიქრებმა წამიღო შორს, შორს...

უცბად მოისმა სევდიანი, მომხიბლავი სიმღერა:

„ჰარ ქიას დოსტ დვდიმ, დუშმანიჯან
ოლდი მ.ნა:
დუშმნან ეზ ბახტიმ იმიშ,—ინდი აჰიან
ოლდი მანა..."*)

გულ-ამოსკვნით ჩაარაკრაკა ბოლო სიტყვები მომღერალმა. სუფთა ჰაერში სიმღერას ზარივით წკრიალი გაჰქონდა. იგი მეტად ნაღვლიანი იყო, თითქოს იმის მთქმელი მოწადინებული იყო მთელი თავისი მწეჯნავი კაეშანი ამონაკვნეს სიტყვებისათვის თან გამოეტანებინა.

ეს სიმღერა თავს ევლებოდა მთას, ჭალას, მინდორს.

გაგიგონიათ კარგი მომღერლისგან გრძნობით ნათქვამი შიქასტაფ! რამდენი სიდიადე, სიძლიერე და უფრო კი ნაღვლიანი სურვილი ბედნიერებისა და სიყვარულისა გამოკრთის ამ ჰანგში!..

ეს ნიზამბეის ხმა იყო. გარინდებული ბუნება ისმენდა და თანაუგრძნობდა მომღერალს.

სიმღერა შესწყდა. ყოველივე მიყუჩდა. ნახევარი საათიც არ გასულა, რომ იგრიალა თოფმა. ასტყდა ძაღლების გამაყრუებული ყეფა-ღმუილი, ყვირილი, ალიაქოთი. არ გასულა სულ ათიოდე წუთი, რომ ამბის შესატყობად გაგზავნილმა ჩემმა თანამგზავრმა მომიტანა შემდეგი ცნობა:

— ნაზიმბეი მოუკლავთ!.. მას თავისიანებისათვის დაუბარებია... ჩემ სიმღერას რომ ყური მოჰკრათ, იმის ნიშანი იქნება, რომ მოემზადოთ და ჩემს მოსვლისათანავე გამომყვეთ სპარსეთში გადასასახლებლადაო. სიმღერის გათავების შემდეგ, მორიდებით მისულა თავის ლუტვიას კარებთან. ამ დროს გავარდნილა ჩასაფრებულ იდრისას თოფი და, ვერაგულად განგმირულს ნაზიმბეის თავის სატრფოს კარებთან მუხლები ჩაჰკეცია. ლუტვია გულგახეთქილი გამოვარდნილა და, თვალი რომ მოუკრავს,—სისხლში მცურავ სატრფოსთვის და იქვე მედიდურად მდგომ „გამარჯვებულ" იდრისათვის,—სცემია და მარდად ამოუძვრია ხანჯალი თავისივე სატრფოსთვის და შეუძახია: „ფიქრი ნუ გაქვს, საიქიოსაც შენი ვიქნებიო",—ჩაუცია გულში და სატრფოს გულზე დაჰკიდებია. შემდეგ ნაზიმბეის დედაც...

— კარგი, კარგი!—გავაწყვეტინე მთამბეს.—მე ფეხით გაუდგები სოფლისკენ და თქვენც შეკაზმეთ ცხენები და ეხლავე გამომყევით...

მეტად მძაფრად იყო ყოველივე მომხდარ-გაგონილი, რომ კიდევ შესაძლებელი ყოფილიყო იმ სოფელში ღამის გათევება და შემდეგაც საქმეც რომ მქონოდა ნაზიმბეის სოფელში, ვცდილობდი თავიდან ამეცდინა და მას შემდეგ სულ აღარ გამივლია იმ სოფელში...

გ. ახალციხელი.

*) თარგმანი ივ. ჯახაჭყისში.

ლებისათვის ბლომა ფული დაეცინცლათ.

საუბედუროდ წრეულსაც იჩინა თავი ასეთმა ამბავმა.

18 თიბათვეს, საღამოს 10 საათზე, რამდენიმე ახალგაზდას ერთ-ერთ დუქანში ექეიფნათ. ქეიფის შემდეგ გაესეირნათ. ამ დროს მათ თავს დასხმიან უცნობნი, გამოურჩევიათ ნაქეიფართა შორის ორი ახალგაზდა (ორივე მოწაფენი: ყულიჯანოვი და მელქუევი) და გაუტაცნიათ.

პოლიცია ფეხზე დადგა, მაგრამ ჯერ-ჯერობით დამნაშავენი ვერ აღმოუჩენია. ამ საქმის თაობაზე გორიდან ცხინვალს ეწვია მაზრის უფროსი თავისი ამალით. მოქეიფეთაგანიც ზოგიერთი დააპატიმრეს. ასეთ მდგომარეობაშია ცხინვალი ამ ხანად.

**დონ—დხელი.**

## სოხუმის ამბები

სახალხო უნივერსიტეტი. ქართული წიგნთ-საცავ სამკითხველოს საჭიროება და ადგილობრივი ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება. დრამატიული წრე და მის მიერ დადგმული წარმოდგენები.

სოხუმში არსებობს სახალხო უნივერსიტეტი, მაგრამ, სამწუხაროდ, კუს ნაბიჯით მიდის წინ. აქაურმა სახ. უნივერსიტეტმა ჯერ ვერც ერთი ქართული ლექციის წაკითხვა ვერ მოახერხა, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნილება ძლიერ დიდია, და დიდ სარგებლობასაც მოუტანდა მშრომელ ხალხს, რადგან აქაურ დაბალ ქართველ ხალხს ჭკონების გასავითარებლად მეტი არაფერი საშუალება არა აქვს. ჩვენის აზრით, თუ სახალხო უნივერსიტეტს უნდა პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა, არ ასცდეს თავის ჭეშმარიტ გზას და „სახალხო უნივერსიტეტად" მარტო სიტყვით არ დარჩეს, უნდა მხედველობაში მიიღოს, რომ აქ მუშა ხალხის დიდი უმრავლესობა ქართველობაა; მათთვის უნდა მართოს ლექციები, მათს გონებრივ განვითარებაზე უნდა იზრუნოს. რაც მალე მიაქცევენ ყურადღებას გამგეობის ქართველი წევრები ამ გარემოებას, მით უკეთესია.

—

როგორც არა ერთხელ აღუნიშნავთ, სოხუმის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას ქართველობა შეადგენს. აქ არის ადგილობრივი ქ. შ. წ. კ. გამავ. საზოგადოება, რომელიც, მართლაც, დიდი ენერგიით ეკიდება საქმეს და კარგს ნიადაგზედაც აყენებს მას, მხოლოდ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ერთი გარემოება: სოხუმის ქართველთა შორის დღითი დღე იზრდება ქართული ლიტერატურისა და პრესის მოთხოვნილება, რასაკვირველია, უფრო დაბალ ხალხში, რომელსაც შეძლება არა აქვს თვითონ შეიძინოს იგი. აქ კი მთელი სოხუმის ქართველობა რომ ჩამოიაროს კაცმა, ოცს ქართულ წიგნს ვერ იშოვის. თანამედროვე ლიტერატურას ხომ სრულიად მოკრებული ვართ. აქ არსებობს ერთად ერთი ქალაქის წიგნთ-საცავ-სამკითხველო. ამ წიგნთ-საცავში, როგორც პატივცემულმა ჩიორამ უკვე აღნიშნა, არის ოცდა ათ ცალამდის ანტონ კათალიკოზის დროინდელი საეკლესიო პატარა წიგნები. ბ. ჩიორა სწერდა: „სამკითხველოს გამგე ამის გამო ტფილისში იყო, მაგრამ დაპირების მეტი არაფერი გამოატანესო." ჩვენ ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ტფილისის წ. კ. გ. საზ. გამგეობამ ეს საქმე მიანდო სოხუმის წ. კ. საზოგადოების გამგეობას და ამ უკანასკნელმა კი იგი დავიწყებას მისცა. ჩვენი აზრით, ამ დიდ და სიმპატიურ საქმეს ანგარიში უნდა გაუწიოს ადგილობრივმა წ. კ. გ. საზოგადოებამ. ამ ხანად აქაურმა გამგეობამ მთელი თავისი ენერგია და შრომა უნდა მოახმაროს ადგილობრივ ქართული იაფფასიან წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გახსნას, ან ქალაქის წიგნთ-საცავთან, ან ცალკე, დამოუკიდებლად. ქართველ ხალხში გაიზარდა ეროვნული ლიტერატურის მოთხოვნილება და წყურვილი გონებრივი განვითარებისა, ამიტომ წ. კ. გ. საზოგადოება მოვალეა ანგარიში გაუწიოს ხალხის ამ მოთხოვნილებას და მიაწოდოს სულიერი საზრდოდ ქართული ლიტერატურა, თორემ, თუ ქალაქის „მამებს" ვუცქირეთ, შორს ვერ წავალთ.

—

როგორც ბ. ჩიორამ აღნიშნა პატივცემულ „სახალხო გაზეთში", აქ არსებობს დრამატიული ხელოვნების მოყვარეთა წრე, რომელმაც ხელმძღვანელობად და მონაწილეობის მისაღებად მოიწვია ქ. ელენე ანდრონიკაშვილი და ბატ. შალვა დადიანი. წრეს მიზნადა აქვს ხალხს მიაწოდოს ძლიერ იაფფასებში შინაარსიანი წარმოდგენები, მაგრამ სამწუხაროდ წრეს ამ მიზნის განხორციელებაში წინ ეღობება ერთი ძლიერ დიდი დაბრკოლება—იაფფასიანი ბინის უქონლობა, რის გამოც წრე ჯერ-ჯერობით სავსებით ვერ ახორციელებს თავის მიზანს, შედარებით კი წრე მართავს შინაარსიან წარმოდგენებს ყველასთვის ხელ-მისაწვდომს ფასებში. იმედია შემდეგში უფრო კარგად წავა საქმე და წრეც უფრო კარგად მოახერხებს სახალხო იაფ-ფასიან წარმოდგენების მართვას.

**ი. ჩხარელი.**

## ოსმალეთი და ჩერნოგორია

დეპეშები.

23 თიბათვე.

**უსკიუბი.** მიტროვიცისაკენ ჯარების მოძრაობა გაძლიერდა. ჯარები იპეკზე გაივლიან და ჩერნოგორიის საზღვრებზე მივლენ. მრავალი ბოლგარელი მოსაზღვრე მთებზე ყოველ-დღე ჯგუფ-ჯგუფად გადმოდის.

**ვენა.** „კორესპონდენტ ბიუროს" ოფიციალური წყაროებიდან ატყობინებენ, რაკი ცეტინიეში ხმა გავრცელდა, რომ ალბანელებს დასაზრუნებლად ვადა გაუგრძელდებათ, თუ მოლაპარაკება დიდხანს გასტანსო, ჩერნოგორიის მთავრობამ მობილიზაცია გადადვა. ჯერ-ჯერობით მთავრობა მხოლოდ მობილიზაციისათვის მოემზადება. მობილიზაცია იმან გამო წვია, რომ ოსმალეთი ყოველ-დღე ახალ ახალ ჯარებს აგროვებს ჩერნოგორიის საზღვრებზე

**სტამბოლი.** „სენინი", ყოფილი „ტანინი" ამბობს, მდგომარეობა სერიოზულიაო. ის საქციელი, რომელსაც ჩერნოგორია ეწევა, ოსმალეთისათვის უეჭველად მტრულია. ოსმალეთი უნდა გაფრთხილდეს. გაზეთის აზრით, უცხო სახელმწიფონი საქმეში არ ჩაერევიან. გაზეთი „თურქი" ავსტრიასა სწამებს—ბალკანეთზე შფოთის ჩამოგდება უნდაო. ყველა გაზეთები ალბანელების ავტონომიას შეუძლებლად სთვლიან. ოტომანის სააგენტო იტყობინება, ჩერნოგორიაში მობილიზაცია სისწრაფით სწარმოებს; მხოლოდ პოდგორიცის ოლქის მაჰმადიანები ჯარში გასვლაზე უარს ამბობენო.

სტამბოლის ბირჟაზე შიში ჩამოვარდა. ქაღალდების ფასი ძალიან დაეცა. პორტა მაინც ამბობს, ომი აუცილებელი არ არის, რაც კი შეიძლება ალბანელებს ყველაფერს დავუთმობთო.

**სტამბოლი.** რაკი ჩერნოგორია პოდგორიცის დივიზიის მობილიზაციას ახდენს, პორტამ უცხო სახელმწიფოებს განუცხადა, ჩერნოგორიის საზღვრების დარღვევა აზრად არა მაქვს და არც ომი მინდაო, მაგრამ თუ ჩერნოგორიამ ერთხელ კიდევ დაარღვია ნეიტრალიტეტი, მაშინ ოსმალეთი იძულებული იქნება თავისი ინტერესები დაიფაროსო.

მოვიდა ანგორსა და კონიას შეგროვილი 20.000 რედიფი და დაუყონებლივ სალონიკს გაიგზავნა. სამხედრო სამინისტრო გაჩქარებული მუშაობს. ვენის მიერ გავრცელებულმა ხმამ, ვითომც უცხო სახელმწიფონი ჩაერევიან საქმეშიო, გაზეთები აალელვა, ჩერნოგორიაში მობილიზაციის შესახებ მოსულმა ცნობამ საზოგადოება აალელვა და შოვინისტურ გუნებაზე დააყენა.

**ცეტინიე.** მეფე რუსეთის ელჩს ეწვია და ნახევარ საათს ესაუბრა. პოდგორიცის დივიზიის მობილიზაცია გადაიდო.

## უცხოეთი

**საფრანგეთი**

თუმცა საფრანგეთში სამინისტრო მალე შესდგა და მისი პროგრამაც მალე გამოირკვა, პალატის უმრავლესობა ახალ სამინისტროს პროგრამას ტაშის კვრითაც მიეგება, მაგრამ პოლიტიკური მდგომარეობა საფრანგეთისა ისევ აწეწილია. რესპუბლიკანურ უმრავლესობაში უთანხმოება ჩამოვარდნილი ორი საკითხის თაობაზე. ეს საკითხები იყო ძველ სამინისტროსათვის საბედისწერო. მეტადრე საარჩევნო რეფორმა. მეორე საკითხი, რკინის გზის დათხოვნილ მუშების უკანვე მიღება, ისე არ ამწვავებს საკითხს, როგორც პირველი. რადიკალ-სოციალისტებს ახალ სამინისტროსთან დამოკიდებულებაში ერთსულოვნება არა აქვთ. კაიო შედგანი კიოს წინააღმდეგ აგიტაციას ეწევა. რაკი ახალ სამინისტროში მონისის სამინისტროდან ორი მინისტრი, დიუმანი და ბონკური, არ შევიდნენ, ამიტომ კაიოს კაბინეთი მემარცხენეთა თვალში სახელ-გატეხილია. რადიკალ-სოციალისტების ერთი ჯგუფი ცდილობს საარჩევნო რეფორმის ისეთი პროექტი შეადგინოს, რომ როგორმე მორიგება მოახერხოს. რადიკალებმაც შეადგინეს მკრივად წოდებული „ბლოკი", რომელმაც სამინისტროსა და პალატას შუამავლობა უნდა გაუწიოს და შეთანხმებას ხელი შეუწყოს. ბლოკს კომბი ჰმეთაურობს. საინტერესოა ამ საკითხში ჟორესის მოქმედება. იგი აქამდის საარჩევნო რეფორმისათვის სცდილობდა, ეხლა კი დათხოვნილ მუშათა უკან ვე მიღებას უფრო აინტერესებს.

**პორტუგალია**

პორტუგალიის ახალმა მთავრობამ დეკრეტი გამოსცა, რომლის ძალითაც ეკლესია სახელმწიფოს ჩამოშორდა. დეკრეტი 20 თიბათვეს შევა ძალაში. უცხო სახელმწიფონი დაიფიქრა იმ გარემოებამ, რომ დეკრეტში გარკვევით არ არის ნათქვამი ექვემდებარება ამ კანონს უცხო ეკლესიები და სარწმუნოებრივი ჯგუფები თუ არა. ამის თაობაზე ინგლისმა, გერმანიამ, იტალიამ და საფრანგეთმა პორტუგალიის გარეშე საქმეთა მინისტრს განუცხადეს,— თუ პირველ მკათათვემდე გადაჭრილ პასუხს არ მოგვცემთ ჩვენს ეკლესიებზე, რომლებიც პორტუგალიაში გვაქვს, ეროვნულ დროშებს ავმართავთ და თქვენი მოხელენი ამ ეკლესიებს ახლოც ვერ გაეკარებიანო.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 თიბათვე.

**საზღვარ-გარედ.**

**ბელგრადი.** მილოვანოვიჩი კოალიციონურ კაბინეთის შედგენასა სცდილობდა, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. მეფე ძველ რადიკალურ კაბინეთის შედგენას ან ისევ მილოვანოვიჩს ჩააბარებს ან პროტიჩს.

**ლონდონი.** ხმა დადის ლისაბონში ჯარსა და მეზღვაურებს შეტაკება მოსვლიათ. ჯარმა გაიმარჯვა. ხალხი შეშინებულია.

**მონრეალი.** დიდმა სიცხემ 183 კაცი მოჰკლა. მათ რიცხვში 146 ბავშვი.

**პარიზი.** ჰავასი იტყობინება, საფრანგეთის მთავრობა გერმანიის კანონერკის აგადირში ყოფნით უკმაყოფილოა და აცხადებს, რომ კანონერკის გაგზავნა საქმეთა მდგომარეობით არ არის გამოწვეული. აგადირში სრული მშვიდობიანობაა და გერმანიის ინტერესებიც დაცულია. თუმცა გერმანიის მოქმედებამ მდგომარეობა შეცვალა, მაგრამ საფრანგეთი მაინც თანახმაა გერმანიის წინადადება მოისმინოს. საფრანგეთი სცნობს რა სხვა სახელმწიფოთა უფლებებს მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებისას, თხოულობს, რომ დიპლომატიურ წესისამებრ მოლაპარაკების დაწყებამდის გამოირკვეს თუ რაზე იქნება გამართული მოლაპარაკება. გერმანიამ თავისი გემი აგადირიდან უკან რომ დაიბაროს და განაცხადოს, რომ მისი იქ ყოფნა საჭირო არ არისო, მაშინ საქმე მშვიდად და მორიგებით გათავდება.

**სალონიკი.** 150 კაცი ჩერნობეგის, ალექსანდროვის და ტონჩევის მეთაურობით სალონიკიდან ასი ვერსის მანძილზე მოულოდნელად გაჩნდა, პოლიციელი დაიჭირა და სოფლელებს უბრძანა, ეს ამბავი მთავრობას შეატყობინეთო.

**ამსტერდამი.** დამე ერთი ბოცმანი ორი პოლიციელის თანხლებით სამუშაოზე გავიდა. გაფიცულებმა პოლიციელებს ქვები დაუშინეს. პოლიციელებს ქვეითი და ცხენოსანი პოლიციის რაზმი მიეშველა. ჯარმა სროლა ასტეხა. სამი კაცი დაიჭრა. გაფიცულებმა პასუხი გასცეს და ერთი პოლიციელი დასჭრეს. ქუჩებში ფარნების ბოძები ამტვრეული და დაგრეხილია. სროლა დილის 5 საათზე შესწყდა. სულ დაიჭრა 8 კაცი, დაატუსადეს 3. ქუჩებში ჯარი სდგას.

**ბერლინი.** ვანზეის ტბაზე გამოსცადეს ახლად გამოგონილი ნავი, რომლის მართვაც მანძილზე შეიძლება გამომგონი მასწავლებელია გვარად გირტი. ნავი შუა ტბაში გაიტანეს და იქ უკაცოდ დაუშვეს. შემდეგ ნაპირზე გამართულ რადიო-ტელეგრაფიულ აპარატით თვით გამომგონი აძლევდა მიმართულებას. ნავი მორჩილად აპარატს საუცხოოდ ემორჩილებოდა.

**ნიუ-იორკი.** სიცხე იკლო. 22 თიბათვეს ჩიკაგოში 37 კაცი მოკვდა, ნიუ-იორკში 36, ფილადელფიაში 29, ბოსტონში 18, ახალ-ინგლისში 57, სხვა ადგილებში ასეთი შემთხვევები ათობითაა. ნათესებიც ძალიან გაფუჭდა.

**სალონიკი.** რუსოფობი „სილხი", რომელიც სტამბოლში გამოდის „სელახის" სახელით თავისუფალ მეთაურებს აგროვებს, მეომრები დიდხნის მტერთან საბრძოლველად უნდა. ეს მტერი რუსეთია. ამის ხმა-მაღლა თქმას ჯერ-ჯერობით ვერა ჰბედავს.

**ლონდონი.** ლორდთა პალატამ, მიუხედავად მთავრობის ენერგიულ წინააღმდეგობისა, ვეტოს ბილში დესნდონის ცვლილება შეიტანა.

**რუსეთი.**

**კიევი.** აღკრძალეს წიგნაკი „წამებული ჭაბუკი იუშჩინსკი".

**რიგა.** დაიჭირეს ლატიშთა ს.-დ. ორგანიზაციის ოთხი წევრი. იპოვნეს დოკუმენტები და მოწოდებები.

**პეტერბურგი.** ვაჭრობის სამინისტრომ გაგზავნა გერმანიაში, ავსტრო-უნგრეთში, იტალიაში, საფრანგეთში და ინგლისში სტ. სოვ. ფილიპოვი საგაჭრო მეზღვაურობის გასავითარებელ ზომების შესასწავლად.

ოკინსკის ანდერძის თაობაზე გამტყუნებულთა ბრალდებულებმა კასაციით გადაიტანეს საჩივარი.

პალატაში აძრულია საქმე ვოლგისა და ბუგულმინის რკინის გზაზე ნადენიდ ბორთა მოქმედებების შესახებ. პასუხის გებაში მიცემულია 14 კაცი. საჩივარი აძრულია 2 მილიონზე.

**ვლადივოსტოკი.** აგურხანაში ავეთქდა ორთქლის ქვაბი. ოთხი მუშა მოკლულია და მრავალი დაჭრილი.

## ღია წერილი

ბ. ს. ყიფიანს

მოწყალეო ხელმწიფევ, ბ-ნო სვიმონ!

ამის წინად გამოცემულ ალმანახ „მუქში" თქვენ სხვათა შორის, მეც ავად მომიხსენიეთ და გაკვრით შეეხეთ ჩემს ზნეობრივ მხარესაც.

თუ რაში გამოიხატება ჩემი ვითომდა „უზნეო" ქცევა, თქვენ კონკრეტულად არ დაასახელეთ.

ამიტომ ჩვენს საზოგადოებაში ყოველივე ეჭვის გასაქარწყლებლად მოგმართავთ, ბ-ნო სვიმონ, შემდეგის წინადადებით:

სამი დღის განმავლობაში, დღეიდან ამ ღია წერილის დაბეჭდვისა, თქვენ უნდა პირდაპირ დაასახელოთ, თუ რა უზნეო საქციელი ჩაგიდენია.

**კოტე ტუხაშვილი.**

## რედაქციისაგან

რედაქციამ მიიღო **ივანე ნიკოლოზის-ძე ზედგინიძისაგან** (ჯამარლუ, ერევნ. გ.,) ილია ჭავჭავაძის ძეგლის სასარგებლოდ ხუთი მან.

## გამოსადეგი ცნობა

**მეტეხისა და საგუბერნიო ციხეებში დატუსაღებულთა ნახვა შეიძლება დილის 10—2 საათამდე:**

**ხუთშაბათობით** — ციხე-მიჯილთა (Крепостникъ) და იმ დატუსაღებულთა, რომელთაც პოლიტიკური დანაშაულობა ბრალდებათ და საქმე ჯერ გამოძიებაშია.

**კვირაობით**—ადმინისტრატიულად დაპატიმრებულთა, საპყრობილე და სატუსაღო მისჯილთა (Тюрем. заключ. და арестант отд.) და ყველა მათი, რომელიც სისხლის სამართალში არიან მიცემულნი და საქმე ჯერ გამოძიებაშია.

**ყოველ თვის 20 რიცხვში** (თვეში ერთხელ)—კატორღა-მისჯილთა.

**დატუსაღებულთა ნახვისთვის ნებართვა**—თუ დატუსაღებულის საქმე გათავებულია და უკვე სასჯელს იხდის—თვით ციხის ადმინისტრაციისგან უნდა აიღონ; თუ საქმე ჯერ გამოძიებაშია ნებართვისათვის იმ პირს ან დაწესებულებას უნდა მიჰმართონ, რომლის ხელშიაც საქმე ირიცხება.

**ყოველ კვირა-ხუთშაბათს** შეიძლება გადაცემა ჩაი-შაქრისა (რაიმე პარკებით), ტანისამოსისა და ფულისა ფულის მიცემის დროს საჭიროა ბარათის ჩამორთმევა. რისამე მიცემის დროს საჭიროა რამიაც იქნება გახვეული გადასაცემი ზედ დაეკრას ქაღალდი. რომელზედაც ეწერება ვისი გადასაცემია და გვარი ვისთვისაც არის დანიშნული.

**შეიძლება გადაცემა** აგრეთვე წიგნებისა, მხოლოდ წინდაწინ პრალმდებლისაგან ნებართვა უნდა იყოს აღებული.


## განცხადებანი

### „სამპსონინი"

თმებისათვის

საპონი ექ. დიდიძისა

იყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსნიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე)

(წლ.—1152—40)

### დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღანი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინ. და საბავშვო.

**ზ. გ. აგახაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშმიტი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. მ. მიქელაძე-ენგელსი:** 5—6 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ზ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—68)

### მუხრანის ხიდთან

### სამკურნალო

გაიხსნა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ატენიანცი ნ. ა.** ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

**ნ. მ. ახმახოვი**—(მედ. ექ.), ყურის, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. აზვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებან დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**ქ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ა. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიანი**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელქონიანი**—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—95)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

### იყიდება შემდეგი წიგნები:

**არჩილ ჯორჯაძისა:** „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი 75 კაპ.

**Bäto n-ისა:** „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით".—ფასი 1 მან. 20 კაპ.

**ვ. ყიფიანისა:** „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლე[illegible]"—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის" („Новая рѣчь") წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი

### „კოლხიდა"

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაშის სახლი.

ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 1 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ. **საზღვარ გარედ:** წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან, თვიურად ექვსი აბაზი. ციფი ნომერი ერთი შაური.

ადრესის გამოცვლა: ქუთაისიდან ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ. **განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდინ, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

### სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

### ძმ. ძეგველოვების

### მაღაზიას

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

### ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

### ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მიიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა

გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ. დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრე იყიდეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)


სტამბა „ხორიშანი", მადათოვის კუნძული. რედაქტორ-გამომცემელი ნ კურდღელაშვილი.